

პენეტრონ ადმიქსი

კრისტალური ჰიდროსაიზოლაციო და მედეგობის დანამატი

პენეტრონ ადმიქსი - პროდუქტის აღწერა

პენეტრონ ადმიქსი (ინტეგრირებული კრისტალური ჰიდროსაიზოლაციო და ბეტონის მედეგობის გამაუმჯობესებელი დანამატი) ბეტონის ნარევის ემატება მისი დამზადების (დოზირების) დროს. პენეტრონ ადმიქსის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა აქტიური ქიმიური ნაერთები რეაქციაში შედის ახალ ბეტონში არსებულ ტენთან და ცემენტის ჰიდრატაციის თანმდევ პროდუქტებთან. ეს ინვეს კატალიზურ რეაქციას, რის შედეგადაც ბეტონის მთელ მოცულობაში, ფორებსა და კაპილარულ არხებში, წარმოიქმნება წყალში უხსნადი კრისტალური სტრუქტურა. ამგვარად, ბეტონი ხდება მუდმივად დაცული (ჰერმეტიზირებული) წყლისა და სხვა სითხეების შეღწევისგან ნებისმიერი მიმართულებიდან.

ამის მიუხედავად, პენეტრონ ადმიქსით დამუშავებული ბეტონი ატარებს ორთქლს სტრუქტურის გავლით (ე.ი. ბეტონი ინარჩუნებს „სუნთქვის“ უნარს). ბეტონის საბოლოო გამყარების შემდეგაც კი, პენეტრონ ადმიქსი რჩება მასში „მიძინებულ“ მდგომარეობაში და ტენის გაჩენის შემთხვევაში კვლავ აქტიურდება, რათა ამოავსოს კაპილარული არხები და მიკრობზარები. ბეტონი ასევე დაცულია გარემოს მკაცრი პირობებით გამოწვეული დაზიანებისგან.

პენეტრონ ადმიქსი სპეციალურად შემუშავებულია სხვადასხვა პროექტისა და ტემპერატურული პირობების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (იხ. შეკვრის დრო და სიმტკიცე). თქვენი პროექტისთვის დეტალური კონსულტაციისთვის მიმართეთ Penetron-ის ტექნიკურ წარმომადგენელს.

გამოყენების სფეროები

- რეზერვუარები
- საკანალიზაციო და წყალგამწმენდი ნაგებობები
- მეორადი შეკავების სტრუქტურები
- გვირაბები და მეტროს სისტემები
- მიწისქვეშა საცავები/სათავსოები
- საძირკვლები
- ავტოსადგომები და პარკინგები
- საცურაო აუზები
- გამოიყენება ნებისმიერი ტიპის ბეტონში: ასანყობი, ადგილზე ჩამოსხმული და ტორკრეტ-ბეტონი.

გამოყენების ინსტრუქცია და დოზირება

ხარჯი:

ცემენტის მასის 1% ბეტონის ნარევაში, ან 4 კგ დანამატი 1 მ³ ბეტონის ნარევაზე.

დანამატის შეყვანის (გამოყენების) მეთოდები:

ავტობეტონმრევაში (მიქსერში) „პენეტრონ ადმიქსი“ შეგვყავს წყალხსნარის სახით.

ხსნარის მომზადების პროპორციების მაგალითები:

აუცილებელია ინსტრუქციაში მითითებული პროპორციების დაცვა. ხსნარის მოსამზადებლად გამოიყენება:

- 1 კგ მშრალ დანამატზე – 0.65-0.75 ლ წყალი;
- 4 კგ მშრალ დანამატზე – 2.5-3 ლ წყალი;
- 20 კგ მშრალ დანამატზე – 13-15 ლ წყალი;
- 25 კგ მშრალ დანამატზე – 16-19 ლ წყალი;
- ან მოცულობით: 1.5 წილი მშრალი დანამატი 1 – 1.1 წილ წყალზე.

მშრალ დანამატში წყლის დასხმის შემდეგ, ხსნარს უნდა მოერიოს დაბალბრუნიანი ბურღით (დრელით). მომზადებული ხსნარი უნდა გამოიყენოთ 5 წუთის განმავლობაში. ჩაასხით დანამატის ხსნარი ავტობეტონმრევაში და მოურიეთ არანაკლებ 10 წუთისა მიქსერის მაღალ ბრუნზე.

მშრალი სახით „პენეტრონ ადმიქსის“ შეყვანა ხდება ბეტონის წარმოების ხაზზე, მშრალი დანამატების დოზატორების მეშვეობით. შესაძლებელია გათვლილი რაოდენობის დანამატის შეყვანა ინერტულ მასალებთან ერთად. ბეტონირებისას ტექნოლოგიური ნაკერების და პირაპირების ჰიდროიზოლაციისთვის გამოიყენეთ ჰიდროსაიზოლაციო ზონარი „პენებარი“ და „ლითონის სამონტაჟე ბადე“.

პენეტრონ ადმიქსი

შეკვრის დრო და სიმტკიცე:

ბეტონის შეკვრის დრო დამოკიდებულია ინგრედიენტების ქიმიურ და ფიზიკურ შემადგენლობაზე, ბეტონის ტემპერატურასა და კლიმატურ პირობებზე. პენეტრონ ადმიქსის გამოყენებისას შესაძლოა მოხდეს შეკვრის დროის გადავადება (შენელება). შენელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბეტონის რეცეპტსა და დანამატის დოზირებაზე. თუმცა, ნორმალურ პირობებში, პენეტრონ ადმიქსი უზრუნველყოფს ბეტონის სტანდარტულ შეკვრას. პენეტრონ ადმიქსის შემცველმა ბეტონმა შესაძლოა განავითაროს უფრო მაღალი საბოლოო სიმტკიცე, ვიდრე ჩვეულებრივმა ბეტონმა. რეკომენდებულია საცდელი ნარევების დამზადება პროექტის პირობებში შეკვრის დროისა და სიმტკიცის დასადგენად. პენეტრონ ადმიქსით დამუშავებული ბეტონი უნდა განთავსდეს და დამუშავდეს კარგი სამშენებლო პრაქტიკის (ACI რეკომენდაციების) შესაბამისად. განსაკუთრებული მითითებები პენეტრონ ადმიქსი-ის გამოყენებისას ბეტონის ნარევის ტემპერატურა უნდა აღემატებოდეს 4°C-ს.

შეფუთვა:

ფხვნილი: ხელმისაწვდომია 4 კგ და 25 კგ იან პლასტმასის სათლებში.

შენახვა / ვარგისიანობის ვადა

ფხვნილი: შეინახეთ მშრალ ადგილას, მინიმუმ 7°C ტემპერატურაზე. ვადა: 18 თვე.

უსაფრთხოების ინფორმაცია პენეტრონ ადმიქსი არის ტუტე გარემოს მექონე. როგორც ცემენტის შემცველმა ფხვნილმა, სითხემ ან ნარევმა, შესაძლოა გამოიწვიოს კანისა და თვალის მნიშვნელოვანი გაღიზიანება. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

უპირატესობები და მახასიათებლები:

წნევის მედეგობა: უძლებს ექსტრემალურ ჰიდროსტატიკურ წნევას როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხრიდან. ინტეგრირებული დაცვა: ხდება ბეტონის განუყოფელი ნაწილი.

ქიმიური მედეგობა: ხასიათდება მაღალი მედეგობით აგრესიული ქიმიკატების მიმართ.

თვითაღდგენა: ლუქავს 0.5 მმ-მდე (1/51") ზომის მიკრობზარებს.

სუნთქვა: აძლევს ბეტონს „სუნთქვის“ საშუალებას (ატარებს ორთქლს).

უსაფრთხოება: არატოქსიკურია (გააჩნია NSF 61 სერტიფიკატი სასმელ წყალთან კონტაქტისთვის).

ეკონომიური: ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით იაფია და ამცირებს მშენებლობის ვადებს.

მუდმივი: უზრუნველყოფს მუდმივ ჰიდროიზოლაციას.

კლიმატური დამოუკიდებლობა: ემატება ბეტონს დოზირების დროს, შესაბამისად არ გააჩნია კლიმატური შეზღუდვები (არ სჭირდება მშრალი ამინდი დატანისთვის).

გამძლეობა:

აუმჯობესებს ბეტონის მედეგობას/გამძლეობას.

PRAH კლასიფიკაცია: წარმოადგენს „წყალშელწნევადობის შემამცირებელ დანამატს ჰიდროსტატიკური პირობებისთვის“ ნულოვანი VOC: არ შეიცავს აქროლად ორგანულ ნაერთებს და უსაფრთხოა დახურულ სივრცეებში გამოსაყენებლად. სტანდარტები: ატარებს ASTM C494-S სტანდარტის მოთხოვნებს.

ვიზუალური ინდიკატორი:

ბეტონის ჩამოსხმისას წყლის ზედაპირზე წარმოქმნის არატოქსიკურ, მწვანე ფერის კვალს, რაც ვიზუალურად ადასტურებს, რომ ბეტონში ნამდვილად დამატებულია პენეტრონ ადმიქსი.